ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

დასკვნა:**დ12. 3724177001**
თარიღი:**25/06/2024**

დ ა ს კ ვ ნ ა

მიმდინარე წლის 25 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა"-ის წესში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიამ აღნიშნა, რომ პროექტით ცვლილებები შედის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N25 დადგენილების სათაურში, რომელიც გამომდინარეობს და ესადაგება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის" სათაურს და წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამის დასახელებას **,**გარდა ამისა ცვლილებები შედის ნაწილობრივ ამავე დადგენილების პროგრამის მიზნებში, ასევე პროგრამის საკოორდინაციო ,სამდივნოსა და საკონკურსო კომისიასთან დაკავშირებით. პროგრამაში მონაწილეობის პირობებსა და ბენეფიციარების შესახებ. ასევე ბიზნესს იდეების მიღების ,გადარჩევის და პროგრამის დაფინანსების წესთან დაკავშირებით. ასევე ცვლილებები შედის პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგის, პროგრამის შეფასების, საინფორმაციო კამპანიისა და პროგრამის განხორციელების გამჭირვალობის სტანდარტებთან მიმართებით.

კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა დადგენილების პროექტში ცვლილებების შეტანას და მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პროექტის წარდგენა ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი